პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- ივნისი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევს და გასასვლელს მიენიჭოს მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

01.15.05.001.044
01.15.05.001.005
01.15.05.001.046
01.15.05.001.043
01.15.05.001.021
01.15.05.001.050
01.15.05.001.079
01.15.05.001.049
01.15.05.001.051
01.15.05.001.048
01.15.05.001.014
01.15.05.001.039
01.15.05.001.073
01.15.05.001.032
01.15.05.001.065
01.15.05.001.040
01.15.05.001.041
01.15.05.004.088
01.15.05.004.035
01.15.05.001.013
01.15.05.019.041
01.15.05.004.028
01.15.05.004.046
01.15.05.004.064
01.15.05.004.027
01.15.05.004.030
01.15.05.004.018
01.15.05.004.094
01.15.05.004.043
01.15.05.004.075
01.00.287

19/032321368-03

4.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს
საქართველოს მოქალაქეთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთობლივი

[illegible]
პ/ნ 01017007187
ტ/ნ. 577423434
მის. [illegible]

განცხადება

ბატონო გიორგი,

ჩვენ, ანსამბლ „ცისფერი ტრიო"-ს სოლისტები დავით აბესაძე და მალხაზ თავართქილაძე, აგრეთვე ჩვენთან ერთად ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოშო მოღვაწე მომღერლები, სახალხო არტისტები, საზოგადო მოღვაწეები, მოგმართავთ თხოვნით, რომ ჩვენი მეგობარი და ტრიოს სოლისტი, აწ გარდაცვლილი თამაზ სეფერთელაძე, რომელიც 1991 წელს დაინიშნა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ. 1994-1996 წლებში იყო საქართველოს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1996-2006 წლებში — თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011 წლიდან მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლად. პროფესიულ საქმიანობასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა ესტრადაზე. ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მალხაზ თავართქილაძესთან და დავით აბესაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „ცისფერი ტრიო". ანსამბლმა 1973 წლიდან დაიწყეს მუსიკალური მოღვაწეობა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პროფესიონალურმა ტრიომ.

თამაზ სეფერთელაძე იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი.

თამაზი ცხოვრობდა ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონის 8 მარტის ქუჩა N2-ში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბატონო გიორგი, გთხოვთ თქვენს დახმარებას თამაზ სეფერთელაძის უკვდავსაყოფად 8 მარტის სახელობის ამ პატარა ქუჩას მისი სახელი მიანიჭოთ.

პატივისცემით,

მალხაზ თავართქილაძე
დავით აბესაძე
ნანი ბრეგვაძე
ეკა მამალაძე
ნუნუ დუღაშვილი

ნუნუ გაბუნია

ნიკოლოზ რაჭველი

ლიზა ბაგრატიონი

ნატო მეტონიძე

ნინო ქათამაძე

დუტა სხირტლაძე

ნიკოლოზ წულუკიძე

ზუკა პაპუაშვილი

ანსამბლი „შვიდკაცა“: ბიძინა ზატიაშვილი

გიორგი ლომთათიძე

ნოდიკო მეტრეველი

დავით ნოზაძე

ნიკოლოზ კირვალიძე

ლევან თოლორდავა

დავით შიშინიაშვილი

ანსამბლი „ფორტე“: ზურა მანჯავიძე

ნინო ახობაძე

ირინა კახნიაშვილი

მანანა მაისურაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/21719065**
თარიღი: **21/05/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ანსამბლ "ცისფერი ტრიოს" სოლისტების, ასევე საზოგადო მოღვაწეთა ერთობლივ 2023 წლის 01 აგვისტოს საქმე #19/032321368-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია 8 მარტის ქუჩისთვის ანსამბლ "ცისფერი ტრიოს" სოლისტის, საქართველოს სახალხო არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭება. გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩის შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში თამაზ სეფერთელაძის ქუჩა) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე



თამაზ სეფერთელაძე

(1948-2023)

მომღერალი, ინჟინერი, ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა თბილისში 1948 წლის 9 აგვისტოს. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტი და 1972 წელს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

1972-1974 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის კომუნალური სამსახურების გაერთიანების თბომეურნეობის სამმართველოს საიზოლაციო სამსახურის უფროსად. 1976-1978 წლებში — საქართველოს პროფესიული კავშირების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მშენებარე ობიექტების დირექტორის მოადგილედ. 1978-1984 წლებში იყო მცხეთა-მთიანეთის მხარის საშენ მასალათა გაერთიანების დირექტორი, 1984-1991 წლებში — რესპუბლიკური გაერთიანება „საქრეკლამის“ გენერალური დირექტორი. 1991 წელს დაინიშნა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ. 1994-1996 წლებში იყო საქართველოს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1996-2006 წლებში — თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011 წლიდან მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლად.

პროფესიულ საქმიანობასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა ესტრადაზე. ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მალხაზ თავართქილაძესთან და დავით

აბესაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „ცისფერი ტრიო“. ანსამბლმა 1973 წლიდან დაიწყო გამოსვლა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პროფესიონალურმა კოლექტივმა. ჯგუფი თავდაპირველად საქართველოს ტელევიზიისა და სახელმწიფო ფილარმონიის სახელით გამოდიოდა. 1985-1995 წლებში ტრიო გასტროლებს სუხიშვილების ანსამბლთან ერთად აწყობდა.

ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად აქვს მიღებული საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტის წოდება. 2002 წელს მიიღო ღირსების ორდენი. 2009 წელს ფილარმონიის წინ ტრიოს ვარსკვლავი გაუხსნეს.

1981 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1988 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება

2002 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.